



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030151935937020

№ 01-458/ო

18 / სექტემბერი / 2020 წ.

**„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ონკოლოგიურ პაციენტთა სამკურნალოდ გათვალისწინებული გავრცელებული/მეტასტაზური ავთვისებიანი სიმსივნის სანინაალმდეგო მედიკამენტების (მონოკლონური ანტისხეულები, პროტეინ კინაზას ინჰიბიტორები და ბისფოსფონატები) ნუსხის დამტკიცების შესახებ**

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების N1.1 დანართის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, N1.3 დანართის პირველი პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტის, N1.4 დანართის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს „ონკოლოგიურ პაციენტთა სამკურნალოდ გათვალისწინებული გავრცელებული/მეტასტაზური ავთვისებიანი სიმსივნის სანინაალმდეგო მედიკამენტების (მონოკლონური ანტისხეულები, პროტეინ კინაზას ინჰიბიტორები და ბისფოსფონატები) ნუსხა“ თანდართული დანართის შესაბამისად.
2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული „ბისფოსფონატების“ მიწოდების უზრუნველყოფისათვის საჭირო სამედიცინო მომსახურების ღირებულება განისაზღვროს არაუმეტეს 90 ლარით, ამასთან სამედიცინო მომსახურება მოიცავს მედიკამენტის მიწოდების პროცედურასთან დაკავშირებულ პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებს (მათ შორის, კონსულტაცია, კვლევები და სხვა.).
3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ონკოლოგიურ პაციენტთა სამკურნალოდ გათვალისწინებული სიმსივნის სანინაალმდეგო მედიკამენტების (მონოკლონური ანტისხეულები, პროტეინ კინაზას ინჰიბიტორები და ბისფოსფონატები) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 აგვისტოს N01-422/ო ბრძანება.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე, ხოლო ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტების მოქმედება ვრცელდება 2020 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მინისტრი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე